



# საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სახელმწიფო ფინანსური მართვის  
რეფორმის

2012 წლის სამოქმედო გეგმის  
შესრულების წლიური ანგარიში

სარჩევი:

შესავალი

I - ბიუჯეტირება

II - რესურსების მართვა

III - აღრიცხვა და ანგარიშგება

IV - შიდა აუდიტი

V - საინფორმაციო ტექნოლოგიები

# შესავალი

## 1) სახელმწიფო ფინანსების მართვა

სახელმწიფო ფინანსების მართვის ფუნდამენტური მიზანია ქვეყანაში არსებული რესურსების ეფექტურად გამოყენება. ამ მიზნის მისაღწევად ფისკალური პოლიტიკა მიმართულია სახელმწიფო სახსრების სტრატეგიულ განთავსებაზე, რაც გულისხმობს სახელმწიფო სახსრების სახელმწიფო პრიორიტეტებისკენ ეფექტურად მიმართვას და ამ პრიორიტეტების დასაფინანსებლად მრავალწლიანი მყარი ფინანსირების პაკეტის შექმნას, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფო საშუალოვადიანი პრიორიტეტების დაფინანსების საიმედოობას.

სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის სისტემა წარმოადგენს შემდეგ ურთიერთდაკავშირებულ ელემენტებს:

- ბიუჯეტის სტრატეგიული შედგენა – ეკონომიკური პოლიტიკის და ბიუჯეტის ურთიერთკავშირი. რესურსების საიმედო წყარო და ბიუჯეტით გამოყოფილი მაქსიმალური თანხები, რომელთა შესაბამისად სამინისტროებს და სხვა მომხმარებლებს, შეუძლიათ პრიორიტეტულად დაგეგმონ თავიანთი საქმიანობები ეროვნულ და სექტორულ დონეზე;

- ბიუჯეტის მომზადება და დამტკიცება – პროცესი, რომლის დროსაც ხდება რესურსების განთავსება პრიორიტეტული დარგების მიხედვით;

- რესურსების მართვა – 1. ფინანსური რესურსები (შემოსავლების მობილიზაცია, სახელმწიფო ვალი და ნაღდი ანგარიშსწორება), 2. სახელმწიფო შესყიდვები, 3. პერსონალის მართვა და 4. ძირითადი აქტივების მართვა;

- შიდა კონტროლი – 1. ფინანსური რეგულირება და საკონტროლო პროცედურები, 2. რესურსების მართვის პროცედურების ეფექტიანობა და 3. ბიუჯეტის შესრულებაზე მონიტორინგის სისტემები და პროცედურები;

- აღრიცხვა და ანგარიშგება - ფინანსური ტრანზაქციების აღრიცხვა, შეგროვება და ანგარიშგება;

- გარე აუდიტი და ანგარიშვალდებულება - უზრუნველყოფს მთავრობის მიერ განხორციელებულ ოპერაციებზე ზემდგომი მაკონტროლებელი ორგანოს და სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან დამოუკიდებელი შეფასების არსებობას.

## 2) სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმა

სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმის 2009–2013 წლების სტრატეგიული დოკუმენტის პრეზენტაცია შედგა 2009 წლის თებერვალში სახელმწიფო სექტორის ხარჯების შეფასების (PEFA) სამუშაო შეხვედრის დროს. პრეზენტაციის შემდგომ მოხდა დოკუმენტის სრულყოფა და დამტკიცება (აპრილი 2009). რეფორმის უმთავრესი მიზანია სახელმწიფო ფინანსების მართვის შემდგომი განვითარება და გაძლიერება. რეფორმის ძირითად მიზნებს წარმოადგენს:

- ფისკალური დისციპლინის შენარჩუნება, საბიუჯეტო სისტემის მაკროეკონომიკური სტაბილურობა და პროგნოზირება;

- სტრატეგიული მიდგომით რესურსების მიმართვა პოლიტიკურად და სტრატეგიულად პრიორიტეტულ სფეროებზე;

- რესურსების მაქსიმალურად ეფექტურად და ეფექტიანად გამოყენება;

- სახელმწიფო რესურსების გამოყენებაზე ანგარიშგებისა და კონტროლის უზრუნველყოფა.

### 3) სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმის კოორდინაცია და მონიტორინგი

სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმის 2009–2013 წლების სტრატეგიის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით 2010 წლის მარტში ფინანსთა სამინისტროში შეიქმნა საკოორდინაციო საბჭო, რომლის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

- რეფორმის სტრატეგიის თაობაზე შესაბამისი წინადადებების შემუშავება;
- რეფორმის სტრატეგიის შესაბამისი წლის სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავება;
- სამოქმედო გეგმის შესრულების კვარტალური და წლიური ანგარიშების მომზადების ხელშეწყობა;
- სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში სამინისტროს სისტემაში შემავალი სუბიექტების საქმიანობის კოორდინაცია;
- რეფორმის სტრატეგიის და შესაბამისი წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგი;
- სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის რეფორმების მიმართულებით საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და კონკურენციისა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან თანამშრომლობის ხელშეწყობა.

საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლების გარდა მონაწილეობას იღებენ საქართველოს პარლამენტის წევრები, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლები, დონორი ქვეყნების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

### 4) სამოქმედო გეგმა

სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს სტრატეგიული დოკუმენტის და სამოქმედო გეგმის შემუშავება. სტრატეგიული დოკუმენტის პარალელურად ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშავა და წარმატებით განახორციელა 2009, 2010 და 2011 წლის სამოქმედო გეგმები.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს 2012 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების 6 თვის ანგარიშს.

# I - ბიუჯეტირება

## 1. ბიუჯეტის დაგეგმვის და მართვის სრულყოფა

### 1.1 პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დახვეწა

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საბიუჯეტო დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებისათვის

**პერიოდი:** იანვარი – ივნისი

**პროგრესი:** „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილება და აღნიშნულ ბრძანებას დაემატა დანართები, რომელიც ითვალისწინებს ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებისათვის პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიას

**შენიშვნა:** დასრულებულია

### 1.2 ბიუჯეტის დადგეგმვის და მართვის ელექტრონული სისტემის დახვეწა

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საბიუჯეტო დეპარტამენტი; სახაზინო სამსახური; სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** ბიუჯეტის მართვის გამართული/გაუმჯობესებული ელექტრონული სისტემა (E-Budget)

**პერიოდი:** იანვარი – დეკემბერი

**პროგრესი:** მუშაობა მიმდინარეობდა ბიუჯეტის მართვის ელექტრონული პროგრამის გაუმჯობესების მიმართულებით, მასში ახალი მოდულების ჩართვის მიზნით

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

### 1.3 ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის მომზადება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საბიუჯეტო დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** 2012-2015 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის საბოლოო ვარიანტი, „ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნით განსახორციელებლ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება, 2013-2016 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი (პირველადი და გადამუშავებული ვარიანტები)

**პერიოდი:** იანვარი – დეკემბერი

**პროგრესი:** საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს წარედგინა 2012-2015 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის საბოლოო ვარიანტი, რომელშიც გაერთიანდა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების და ავტონომიური რესპუბლიკების პრიორიტეტები;

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად მომზადდა საქართველოს მთავრობის 2012 წლის 21 თებერვლის N66 დადგენილება, რომელშიც გაიწერა 2013-2016 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის მომზადების მიზნით მხარჯავი დაწესებულებების მიერ წარმოსადგენი ინფორმაციის ფორმატი და ვადები; საქართველოს პარლამენტთან შეთანხმდა ინფორმაცია ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ.

დადგენილ ვადებში მომზადდა ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი 2013-2016 წლებისათვის და აღნიშნული დოკუმენტის გადამუშავებული ვარიანტები საქართველოს პარლამენტს წარედგინა „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან ერთად. დოკუმენტის საბოლოო ვარიანტი კოდექსით გათვალისწინებულ ვადების დაცვით 2013 წლის 31 იანვრამდე წარედგინება საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს

**შენიშვნა:** დასრულებულია

**1.4 ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების წარმომადგენლებთან, პროგრამულ ბიუჯეტთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრების ორგანიზება**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საბიუჯეტო დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მიერ შემუშავებული პროგრამული ბიუჯეტების პროექტები

**პერიოდი:** მარტი – სექტემბერი

**პროგრესი:** 2012 წლის ივნისში მიმდინარეობდა ტრენინგები პროგრამულ ბიუჯეტთან დაკავშირებით ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საფინანსო ორგანოების წარმომადგენლებთან, რომელშიც მონაწილეობას იღებდა ყველა მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანოს წარმომადგენელი. პროექტი განხორციელდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ინფრასტრუქტურის ბაზაზე, USAID-თან და GIZ-თან თანამშრომლობით

**შენიშვნა:** დასრულებულია

**1.5 სათანადო ღონისძიებების გატარება 2012 წლის ბიუჯეტის დეფიციტის 3.5%-ის ფარგლებში შენარჩუნების მიზნით**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საბიუჯეტო დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** 2012 წლის ბიუჯეტის დეფიციტი შენარჩუნებულია 3.5%-ის ფარგლებში

**პერიოდი:** იანვარი – დეკემბერი

**პროგრესი:** 2012 წლის დეკემბერში წლიური ბიუჯეტის კანონში შეტანილი იქნა ცვლილება, რომლის მიხედვითაც ბიუჯეტის დეფიციტი კვლავ დარჩა 3.5% ნიშნულზე.

2012 წლის ფაქტიური მაჩვენებლების წინასწარი პროგნოზების თანახმად აღნიშნული მაჩვენებელი არ გადააჭარბებს მშპ-ის 3%-ს

**შენიშვნა:** დასრულებულია

### 1.6 2013 წლის ბიუჯეტის დაგეგმვა 3%-იანი დეფიციტის ფარგლებში

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საბიუჯეტო დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი იქნება არაუმეტეს 3%-სა

**პერიოდი:** იანვარი – დეკემბერი

**პროგრესი:** სახელმწიფო ინარჩუნებს კონსერვატორულ ფისკალურ კურსს და მიყვება გეგმას, რომელიც გულისხმობს 2013 წლიდან ბიუჯეტის დეფიციტის 3%-ზე დაბალ ნიშნულზე შენარჩუნებას. 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის თანახმად დეფიციტის მაჩვენებელი მშპ-თან მიმართებაში დაიგეგმა 2.8%-ის ფარგლებში

**შენიშვნა:** დასრულებულია

### 1.7 ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების 2013 წლის ბიუჯეტების მომზადება პროგრამულ ფორმატში

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საბიუჯეტო დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების 2013 წლის ბიუჯეტები

**პერიოდი:** იანვარი – დეკემბერი

**პროგრესი:** შემუშავდა პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის, ჩატარდა ტრენინგები, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივ დონეზე 2013 წლის ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით დაგეგმვის პროცესს.

2013 წლის ბიუჯეტები მომზადდა მეთოდოლოგიის შესაბამისად მომზადებული პროგრამული ფორმატით

**შენიშვნა:** დასრულებულია

### 1.8 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კვარტალური ანგარიშების პროგრამული ფორმატით წარმოება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საბიუჯეტო დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კვარტალური ანგარიშები

**პერიოდი:** იანვარი – დეკემბერი

**პროგრესი:** საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ მიღებულ იქნა 2012 წლის 11 აპრილის N112 ბრძანება, რომლითაც დამტკიცდა პროგრამული ბიუჯეტის კვარტალური და წლიური ანგარიშების წარმოებისათვის, მხარჯავი დაწესებულებების მიერ წარმოსადგენი ინფორმაციის ფორმატი. ამასთან პროგრამული ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის ფორმატი განსაზღვრულია პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიაში.

ბიუჯეტის შესრულების კვარტალური ანგარიშების მზადდებოდა დადგენილი ფორმატით, 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დანართებში ასევე აისახება შესრულების მაჩვენებლები პროგრამების/ქვეპროგრამების მოსალოდნელი შედეგებისა და მათი შესრულების შეფასების ინდიკატორების მიხედვით

**შენიშვნა:** დასრულებულია

### **1.9 საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბაზის გაფართოება და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ და წლიურ ანგარიშებთან ერთად მათი ანგარიშების მომზადება**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საბიუჯეტო დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** ანგარიშების წარმოდგენის ვალდებულება ვრცელდება ყველა საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 6 თვის და წლიურ ანგარიშებთან ერთად მზადდება საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესრულების 6 თვის და წლიური ანგარიშები

**პერიოდი:** იანვარი – დეკემბერი

**პროგრესი:** 2012 წლის კვარტალური და 6 თვის და 12 თვის ანგარიშების წარმოდგენის ვალდებულება გავრცელდა ყველა საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე. საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა 2012 წლის 23 მარტის №111 „სახელმწიფო ფინანსების აღრიცხვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“, რის საფუძველზეც საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა ინფორმაციული მიზნებისათვის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიში წარუდგინეს ფინანსთა სამინისტროს. დადგენილ ვადაში (მეორე კვარტლის დასრულებიდან 15 დღის ვადაში) წარმოდგენილი იქნა სსიპ-ების ბიუჯეტების შესრულების 6 თვის ანგარიშები, რომელიც პარლამენტს წარედგინა, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 6 თვის ანგარიშის ნაწილი. ანგარიშების წარმოდგენის ვალდებულება გავრცელდა ზოგიერთ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირზეც, რომლებიც 2011-2012 წლების მანძილზე გადაკეთდნენ საჯარო სამართლის იურიდიული პირებიდან, არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებად.

აღნიშნული საჯარო სამართლის იურიდიული პირების 12 თვის ანგარიშები წარედგინება საქართველოს პარლამენტს ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიშთან ერთად

**შენიშვნა:** დასრულებულია



**1.10 საბიუჯეტო კანონმდებლობის და შესაბამისი სამართლებრივი აქტების გაანალიზება და საჭიროების შემთხვევაში მათში სათანადო ცვლილებების შეტანა**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საბიუჯეტო დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** საბიუჯეტო კანონმდებლობის და შესაბამისი სამართლებრივი აქტების დახვეწა

**პერიოდი:** იანვარი – დეკემბერი

**პროგრესი:** ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების პროგრამულ ბიუჯეტირებაზე გადასვლიდან გამომდინარე მომზადდა „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანებაში ცვლილები.

პროგრამული ბიუჯეტის შესაბამისად მომზადდა „სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის ფორმები და მათი წარდგენის ვადების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 11 აპრილის N112 ბრძანება.

ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნით მომზადდა საქართველოს მთავრობის 2012 წლის 21 თებერვლის N66 დადგენილება „ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“

სახელმწიფო ფინანსების აღრიცხვის მიზნით მომზადდა საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 მარტის N111 დადგენილება „სახელმწიფო ფინანსების აღრიცხვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში“ შეტანილ იქნა ცვლილებები ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების პროგრამულ ფორმატზე გადასვლიდან გამომდინარე

**შენიშვნა:** დასრულებულია

## II - რესურსების მართვა

### 1. გადამხდელთა მომსახურების გამარტივება

#### 1.1 რისკზე დაფუძნებული საგადასახადო შემოწმების დახვეწა

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სსიპ შემოსავლების სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** აუდიტორულ შემოწმებას ექვემდებარება მხოლოდ მაღალი რისკის მატარებელი გადამხდელები

**პერიოდი:** იანვარი – დეკემბერი

**პროგრესი:** 2012 წლის დასაწყისში გაიზარდა რისკ ფაქტორების რაოდენობა 16-დან (2011 წელი) 50-მდე. დაიხვეწა პროგრამა (გამარტივდა) და ეხლა უკვე მეტი პარამეტრებით შეიძლება მონაცემთა ბაზაში იმ გადამხდელთა შერჩევა, რომლებიც უნდა დაექვემდებარონ საგადასახადო შემოწმებას

**შენიშვნა:** აღნიშნული ღონისძიება მუდმივ განახლებას ექვემდებარება

### 1.2 ალტერნატიული აუდიტის დანერგვა, პროცედურული სახელმძღვანელოს შექმნა

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სსიპ შემოსავლების სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** ეფექტური სადაგასახადო შემოწმება

**პერიოდი:** იანვარი – დეკემბერი

**პროგრესი:** შემოსავლების სამსახურში უკვე შემოღებულია ალტერნატიული აუდიტის სისტემა და გადამხდელებს უკვე აქვთ შესაძლებლობა აირჩიონ კერძო აუდიტორული კომპანიები აუდიტის ჩასატარებლად. შემუშავებულია პროცედურული სახელმძღვანელო, რომლითაც ხელმძღვანელობენ, როგორც სახელმწიფო, ისე ალტერნატიული აუდიტორები.

**შენიშვნა:** დასრულებულია

### 1.3 საბაჟო გამშვები პუნქტების: “ნინოწმინდა”, “ყაზბეგი” და “კარწახის” რეკონსტრუქცია

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სსიპ შემოსავლების სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** ახალი საბაჟო გამშვები პუნქტების შეყვანა ექსპლუატაციაში

**პერიოდი:** იანვარი – დეკემბერი

**პროგრესი:** ექსპლუატაციაში შევიდა გამშვები პუნქტები: “ნინოწმინდა” და “ყაზბეგი”

**შენიშვნა:** ნაწილობრივ დასრულებულია

### 1.4 გაფორმების ახალი ეკონომიკური ზონის გახსნა თბილისის აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სსიპ შემოსავლების სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** ერთი სარკმლის პრინციპზე დაფუძნებული საქონლის გაფორმების ეფექტური სისტემა

**პერიოდი:** იანვარი – დეკემბერი

**პროგრესი:** მიმდინარე წლის თებერვალში თბილისის აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიხსნა გაფორმების ეკონომიკური ზონა

**შენიშვნა:** დასრულებულია

**1.5 დეკლარაციის შევსება და საქონლის გაფორმება, დათვალიერება და საჭიროების შემთხვევაში ექსპერტიზის ჩატარება იმპორტიორის ოფისში/საწყობში**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სსიპ შემოსავლების სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** საქონლის გაფორმების გამარტივებული პროცედურები

**პერიოდი:** იანვარი – დეკემბერი

**პროგრესი:** დეკლარაციის შევსება და საქონლის გაფორმება, დათვალიერება და საჭიროების შემთხვევაში ექსპერტიზა უკვე ტარდება იმპორტიორის ოფისში/საწყობში

**შენიშვნა:** დასრულებულია

## **2. საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება**

**2.1 კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის მიზნით საგადასახადო კოდექსში და კანონქვემდებარე აქტებში ცვლილებების პროექტის მომზადება**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** ცვლილებები საგადასახადო კოდექსში

**პერიოდი:** იანვარი – დეკემბერი

**პროგრესი:** მომზადდა და პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა საგადასახადო კოდექსში ცვლილებების პროექტები, რომელიც მიზნად ისახავდა იმპლემენტაციის პროცესში გამოვლენილი პრობლემების აღმოფხვრასა და საგადასახადო ადმინისტრირების გამარტივებას.

შემუშავდა მთავრობის დადგენილების პროექტი ცალკეულ შემთხვევებში დღგ-ით დაბეგვრის და დღგ-ის თანხის ბიუჯეტში გადახდის წესის დამტკიცების შესახებ.

მომზადდა და მიღებულ იქნა მთავრობის დადგენილება „სპეციალური სავაჭრო ზონის ფუნქციონირების წესის შესახებ“.

მომზადებულია ინსტრუქციის პროექტი საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შეფასების თაობაზე

**შენიშვნა:** დასრულებულია

**2.2 თავისუფალი ინდუსტრიული ზონების მარეგულირებელ კანონმდებლობაში ცვლილებების პროექტის მომზადება**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** განსხვავებული დაბეგვრის მექანიზმი თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში

**პერიოდი:** იანვარი – აპრილი

**პროგრესი:** თავისუფალი ინდუსტრიული ზონების მარეგულირებელ კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებით მოხდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოების დაბეგვრის რეჟიმის ცვლილება. კერძოდ, აღარ არსებობს საერთაშორისო საწარმოს დეფინიცია და თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში დარეგისტრირებული ყველა საწარმო სარგებლობს საგადასახადო შეღავათებით. ამასთანავე, თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს მიერ საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებული პირისათვის (გარდა, თიზ-ის საწარმოსი) საქონლის მიწოდების და მათგან საქონლის მიღების შემთხვევაში იბეგრება საქონლის მიწოდებით მიღებული/მისაღები შემოსავლის 4 პროცენტის განაკვეთით

**შენიშვნა:** დასრულებულია

**2.3 საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების განვითარების და კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით საგადასახადო კოდექსში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** საქართველოს კანონი საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ

**პერიოდი:** იანვარი - აპრილი

**პროგრესი:** საქართველოს საგადასახადო კოდექსში 2012 წლის 16 მარტს განხორციელდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც დღგ-ისგან გათავისუფლდა ჩათვლის უფლებით საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდება მის სამრეწველო გადამამუშავებამდე, ასევე, საქართველოს ბინადარი ცხოველისგან მიღებული პროდუქტის სამრეწველო გადამამუშავების შედეგად წარმოებული ხორცის და ყველის მიწოდებაც. აღნიშნული შედეგათი არ ვრცელდება მეფრინველეობის სფეროზე, ვინაიდან მისი ბაზარი საქართველოში შედარებით კარგადაა განვითარებული

**შენიშვნა:** დასრულებულია

**2.4 ქვეორმატიულ აქტში ცვლილებების მომზადება (მაგ: ფიქსირებული გადასახადი, ალტერნატიული საგადასახადო აუდიტი, აუქციონებზე დღგ-ით დაბეგვრის სპეციალური წესი)**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** ფინანსთა მინისტრის ბრძანება/მთავრობის დადგენილება

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** ფიქსირებულ გადასახადთან დაკავშირებით მიღებულ იქნა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 20 მარტის №88 ბრძანება „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების გამოყენების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №999 ბრძანებაში ცვლილების

შეტანის შესახებ, რომლითაც დამტკიცდა ინსტრუქცია „ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მინიჭებისა და გაუქმების, ფიქსირებული გადასახადის გადახდისა და ანგარიშგების და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სერტიფიკატის გაცემის წესის შესახებ“ (დანართი №4) თანდართულ დანართებთან ერთად“. ინსტრუქციით განისაზღვრა ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობები და ფიქსირებული გადასახადის ოდენობა.

ალტერნატიულ საგადასახადო აუდიტთან დაკავშირებით მიღებულ იქნა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 22 თებერვლის №60 ბრძანება „მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, რომლის კარი II<sup>1</sup> არეგულირებს ალტერნატიულ საგადასახადო შემოწმებას.

აუქციონებზე დღგ-ით დაბეგვრის სპეციალურ წესთან დაკავშირებით 2012 წლის 12 აპრილს მიღებული იქნა საქართველოს მთავრობის №140 დადგენილება „ცალკეულ შემთხვევებში დღგ-ით დაბეგვრის და დღგ-ის თანხის ბიუჯეტში გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“

**შენიშვნა:** დასრულებულია

### 3. ფინანსთა სამინისტროს საქმიანობის ეფექტურობის გაუმჯობესება

#### 3.1 ახალი საგადასახადო კოდექსის ბროშურების გამოცემა (ინგლისური, თურქული, რუსული)

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** ინვესტორების და გადასახადების გადამხდელების ინფორმირებულობის ამაღლება

**პერიოდი:** იანვარი – ივნისი

**პროგრესი:** შემუშავებულ იქნა ინვესტორებისათვის საგადასახადო გზამკვლევი “pocket tax book“-ის სახელწოდებით 2012 წლისთვის. ახალ ვერსიაში გათვალისწინებულ იქნა საგადასახადო კოდექსის ცვლილებები. ამასთან, ბროშურა დაიხვეწა რედაქციულად. წინა ვერსიასთან შედარებით ახალი რედაქცია უფრო ინფორმაციულია და საილუსტრაციოდ მოცემულია მეტი მაგალითი

**შენიშვნა:** დასრულებულია

**3.2 ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმების დადების მიზნით მოლაპარაკებების გამართვა - სამხრეთ კორეა, სირია, სან მარინო, ბელარუსი, იორდანია, ომანი, ალბანეთი, ისლანდია, მონტენეგრო, შვედეთი, არგენტინა, ბრაზილია, მექსიკა, პანამა, მარშალის კუნძულები, ლიხტენშტაინი, ვიეტნამი, ერაყი**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობა და შეთანხმებების მოქმედების გაფართოებული არეალი

**პერიოდი:** იანვარი – დეკემბერი

**პროგრესი:** გაიმართა მოლაპარაკებები და მოხდა შეთანხმების პარაფირება შემდეგ ქვეყნებთან: შვედეთი, სან მარინო, ლიხტენშტაინი, ისლანდია, ომანი.

**შენიშვნა:** მოლაპარაკებები შეჩერდა სირიასთან, პანამასთან და მარშალის კუნძულებთან

**3.3 ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმების ხელის მოწერა და რატიფიცირება 5 სახელმწიფოსთან: პორტუგალია, უნგრეთი, სლოვენია, სერბეთი, ხორვატია**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობა და შეთანხმებების მოქმედების გაფართოებული არეალი

**პერიოდი:** იანვარი – დეკემბერი

**პროგრესი:** შეთანხმებას ხელი მოეწერა სლოვენიასთან და ხორვატიასთან, ხოლო შეთანხმებები რატიფიცირებულია სერბეთთან და უნგრეთთან

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

**3.4 ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმებების ინიცირება (ავსტრალია, ინდონეზია, მალაიზია, მოლდოვა, კუბა, ეკვადორი)**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** ახალ პრიორიტეტულ ქვეყნებთან გაფორმებული შეთანხმებები

**პერიოდი:** იანვარი – დეკემბერი

**პროგრესი:** ზემოაღნიშნულ სახელმწიფოებთან დასრულებულია შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები. ასევე მოხდა შეთანხმების ინიცირება შემდეგ ქვეყნებთან: კოლუმბია, მონღოლეთი, მაროკო, ახალი ზელანდია, პერუ, ფილიპინები, ტაჯიკეთი, ურუგვაი, ლიბანი, მალაიზია.

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

**3.5 საგადასახადო საკითხებში ინფორმაციის გაცვლის შესახებ შეთანხმებების “TIEA” დადების მიზნით მოლაპარაკებების გამართვა 37 ქვეყანასთან**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** გადასახადებისაგან თავის არიდების მიზნით კანონმდებლობის დარღვევის აღკვეთა

**პერიოდი:** იანვარი – დეკემბერი

**პროგრესი:** ზემოთაღნიშნულ სახელმწიფოებთან დასრულებულია შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები და შეეთავაზათ სახელმწიფოებს მოლაპარაკებების გამართვა.

**შენიშვნა:** ზემოთაღნიშნულ სახელმწიფოებიდან 34 ქვეყანასთან უკვე ძალაშია „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების“ შესახებ შეთანხმება, და ვინაიდან აღნიშნული შეთანხმების ფარგლებში სახელმწიფოებს უფლება აქვთ გაცვალონ საგადასახადო ინფორმაცია, შეჩერდა აღნიშნულ სახელმწიფოებთან “TIEA” დადება. ასევე ზოგმა სახელმწიფომ სურვილი გამოთქვა ცვლილება შევიდეს „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების“ შესახებ შეთანხმებაში და დაიდოს ინფორმაციის გაცვლის ახალი მუხლი. „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების“ შესახებ შეთანხმებაში ცვლილებებს ხელი მოეწერა ლატვიასთან და ავსტრიასთან, მიმდინარეობს მოლაპარაკებები, გერმანიასთან, ბელგიასთან, საფრანგეთთან და თურქეთთან.

“TIEA” დადების მიზნით ამჟამად მოლაპარაკებები მიმდინარეობს: ავსტრალიასთან, ალბანეთთან, ქუვეითთან

**შენიშვნა:** მიმდინარეობს მუშაობა ეკვადორთან და ბელარუსთან

### **3.6 საგადასახადო საკითხებში ინფორმაციის გაცვლის შესახებ შეთანხმებაზე ხელის მოწერა მექსიკასა და ბრაზილიასთან**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** გადასახადებისაგან თავის არიდების მიზნით კანონმდებლობის დარღვევის აღკვეთა

**პერიოდი:** იანვარი – დეკემბერი

**შენიშვნა:** მექსიკა შეუერთდა „საგადასახადო საკითხებში ადმინისტრაციულ ურთიერთდახმარების“ შესახებ კონვენციას და უარი გამოთქვა შეთანხმების ხელმოწერაზე, ვინაიდან კონვენციის ფარგლებშიც შეუძლიათ სახელმწიფოებს თანამშრომლობა.

ბრაზილიასთან მიმდინარეობს მუშაობა.

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

### **3.7 საგადასახადო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ შეთანხმებების ინიცირება 26 ქვეყანასთან**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** ხელშემკვრელი სახელმწიფოების საგადასახადო სამართალდარღვევის პრევენცია და ურთიერთდახმარების აღმოჩენა

**პერიოდი:** იანვარი – დეკემბერი

**შენიშვნა:** 2011 წლის 1 ივლისიდან საქართველო გახდა „საგადასახადო საკითხებში ადმინისტრაციულ ურთიერთდახმარების“ შესახებ კონვენციის მონაწილე და აღნიშნულიდან გამომდინარე კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებთან შეუძლია თანამშრომლობა, რის გამოც შეჩერდა დამატებით ორმხრივი შეთანხმებების გაფორმება კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებთან.

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

**3.8 საბაჟო სფეროში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ შეთანხმებების ინიცირება 22 ქვეყანასთან**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** ხელშემკვრელი სახელმწიფოების საბაჟოსაზღვრის კვეთასთან დაკავშირებული დანაშაულების პრევენცია და ურთიერთდახმარების აღმოჩენა

**პერიოდი:** იანვარი – დეკემბერი

**პროგრესი:** ზემოაღნიშნულ სახელმწიფოებთან დასრულებულია შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები და სახელმწიფოებს შევთავაზეთ მოლაპარაკებების გამართვა.

**შენიშვნა:** დასრულებულია

**3.9 საბაჟო სფეროში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ შეთანხმებების პარაფირება 7 ქვეყანასთან: სირია, ეგვიპტე, მექსიკა, არგენტინა, ალბანეთი, ხორვატია, ქუვეითი**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** ხელშემკვრელი სახელმწიფოების საბაჟო საზღვრის კვეთასთან დაკავშირებული დანაშაულების პრევენცია და ურთიერთდახმარების აღმოჩენა

**პერიოდი:** იანვარი – დეკემბერი

**პროგრესი:** მიმდინარეობს მუშაობა. მოხდა შეთანხმების პარაფირების შეჩერება სირიასთან. შეთანხმებას ხელი მოეწერა სერბეთთან და მოლდოვასთან.

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

**4. სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების ეფექტური მართვა**

**4.1 სააგენტოს ვებ-გვერდის [www.seragency.gov.ge](http://www.seragency.gov.ge) მოდერნიზაცია**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სსიპ მომსახურების სააგენტო

**შესრულების მაჩვენებელი:** განახლებული, მომხმარებლისათვის გამარტივებული ნავიგაციის ვებ-გვერდის გაშვება



**პერიოდი:** თებერვალი - ივლისი

**პროგრესი:** სააგენტოს ოფიციალურმა ვებგვერდმა [www.seragency.gov.ge](http://www.seragency.gov.ge) შეიცვალა დომეინი და იგი ახალ მისამართზეა ხელმისაწვდომი [www.service.gov.ge](http://www.service.gov.ge), ვებგვერდი განახლების პროცესშია. იცვლება ვებგვერდის დიზაინი, რათა იგი გახდეს უფრო მარტივი, ინფორმატიული და მომხმარებელზე მორგებული

**შენიშვნა:** დასრულებულია

#### 4.2 ელექტრონული აუქციონის სისტემის პოპულარიზაცია

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სსიპ მომსახურების სააგენტო

**შესრულების მაჩვენებელი:** სარეკლამო კამპანიის პერმანენტული წარმოება სხვადასხვა საკომუნიკაციოარხების მეშვეობით

**პერიოდი:** იანვარი - დეკემბერი

**პროგრესი:** პერიოდულად მზადდება თემატური სიუჟეტები ტელევიზიით, ახალი პროდუქტების დანერგვასთან დაკავშირებით ეწყობა პრეზენტაციები. აგრეთვე გაცნობითი ხასიათის პრეზენტაციები ჩატარდა სტუდენტებისათვის უნივერსიტეტებში

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

#### 4.3 Eauction.ge - ს დახვეწა

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სსიპ მომსახურების სააგენტო

**შესრულების მაჩვენებელი:** ახალი ფუნქციონალის დამატება

**პერიოდი:** იანვარი - დეკემბერი

**პროგრესი:** ელ. აუქციონების სისტემა გადავიდა გადახდის ახალ მექანიზმზე (eauction.ge-ს ანგარიშსწორების სისტემა), რომელიც ბანკში გადახდილ თანხებს მყისიერად ასახავს eauction.ge სისტემაში და საგარანტიო თანხის გადახდის შემდეგ მომხმარებელი ავტომატურად აქტიურდება აუქციონზე, მას აღარ უწევს განმკარგავ ორგანიზაციაში გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა აუქციონში მონაწილეობის მისაღებად. აგრეთვე გამარტივდა თანხის უკან დაბრუნება რომელიც აქამდე ქმნიდა გარკვეულ დისკომფორტს (განცხადებით უნდა მიემართა განმკარგავი ორგანიზაციისათვის და მხოლოდ ამის შემდგომ მიიღებდა თანხას უკან), ამიერიდან მომხმარებელს აქვს არჩევანი გადახდის დროს მიუთითოს თანხის უკან დაბრუნების ანგარიში და აუქციონის წაგების შემთხვევაში თანხა დაუბრუნდება მითითებულ ანგარიშზე ან საგარანტიო თანხას გაიტანს ბანკის სალაროდან

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

#### 4.4 დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირების ქონების განკარგვა ელექტრონულად

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სსიპ მომსახურების სააგენტო

**შესრულების მაჩვენებელი:** საკანონმდებლო ცვლილებები

**პერიოდი:** იანვარი - დეკემბერი

**პროგრესი:** მიმდინარეობს პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპმენტი

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

#### **4.5 ელექტრონული პროგრამისათვის ERP (Enterprise Resource Planning) ფუნქციონალის დამატება**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სსიპ მომსახურების სააგენტო

**შესრულების მაჩვენებელი:** პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპმენტი

**პერიოდი:** მაისი - დეკემბერი

**პროგრესი:** განსაკარგად გადმოცემული ქონების აღრიცხვის/შენახვის და რეალიზაციის პროცედურების ელექტრონულად უზრუნველყოფად ერთიან საქმისწარმოების პროგრამას (ERP) დაემატა ახალი ფუნქციონალი

**შენიშვნა:** დასრულებულია

#### **4.6 მკაცრი აღრიცხვის ფორმების ელექტრონული რეგისტრაცია**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სსიპ მომსახურების სააგენტო

**შესრულების მაჩვენებელი:** განახლებულ ვებ-გვერდთან ერთად განახლებული და დახვეწილი ელექტრონული რეგისტრაცია

**პერიოდი:** თებერვალი - ივლისი

**პროგრესი:** შეიქმნა ახალი ფუნქციონალი, რომელიც უზრუნველყოფს მკაცრი ფორმების რეგისტრაციის პროცედურის განხორციელებას ელექტრონულ ფორმატში [www.service.gov.ge](http://www.service.gov.ge) ვებგვერდის მეშვეობით. დაინტერესებულ სამართალ სუბიექტებს მიეცათ შესაძლებლობა დისტანციურად დაარეგისტრონ ახალი მკაცრი აღრიცხვის ფორმები

**შენიშვნა:** დასრულებულია

#### **4.7 სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების განკარგვა - ლიზინგი**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სსიპ მომსახურების სააგენტო

**შესრულების მაჩვენებელი:** სარეკლამო კამპანიის ფარგლებში ლიზინგის პოპულარიზაცია

**პერიოდი:** თებერვალი - დეკემბერი

**პროგრესი:** მიმდინარეობს

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

#### **4.8 სახელმწიფო ორგანოების/საჯარო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში გადაცემული ან/და ბალანსზე არსებული მოძრავი ქონების განკარგვა**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სსიპ მომსახურების სააგენტო

**შესრულების მაჩვენებელი:** საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება

**პერიოდი:** თებერვალი - დეკემბერი

**პროგრესი:** შტანილია შესაბამისი ცვლილებები შემდეგ ნორმატიულ აქტებში:

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონი (2012 წლის 25 მაისი)

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემული ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასებისა და განკარგვის წესი და პირობები“

ცვლილებები მომსახურების სააგენტოს დებულება

**შენიშვნა:** დასრულებულია

#### **4.9 მომსახურების სააგენტოს სერვისის იუსტიციის სახლებში**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სსიპ მომსახურების სააგენტო

**შესრულების მაჩვენებელი:** მოქალაქეთა კონსულტირება მომსახურების სააგენტოს სერვისების თაობაზე იუსტიციის სახლებში

**პერიოდი:** იანვარი - დეკემბერი

**პროგრესი:**

**შენიშვნა:** ვინაიდან იუსტიციის სახლის, როგორც ცალკე იურიდიული სუბიექტის ჩამოყალიბების პროცესი გახანგრძლივდა ვერ მოხერხდა საიჯარო ხელშეკრულების გაფორმება

### **5.ფინანსთა სამინისტროს აკადემია**

#### **5.1 აკადემიის ახალი ინფრაქტრუქტურა**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** ფინანსთა სამინისტროს აკადემია

**შესრულების მაჩვენებელი:** აკადემიის ახალი სასწავლო კომპლექსისა და საკონფერენციო ცენტრის გახსნა

**პერიოდი:** თებერვალი - ივნისი

**პროგრესი:** დაგეგმილ პერიოდში გაიხსნა ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ახალი სასწავლო კომპლექსი, რომელიც საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით გაკეთდა და 160 მსმენელზეა გათვლილი. კომპლექსი აერთიანებს სასწავლო აუდიტორიებს, საკონფერენციო დარბაზს, ბიბლიოთეკას, ენებისა და კომპიუტერულ ცენტრებს.

ინფრასტრუქტურის გამართვის პარალელურად, აკადემიის სასწავლო კომპლექსი აღიჭურვა თანამედროვე ტექნიკით, კერძოდ: პერსონალური კომპიუტერებით, პროექტორებით, მართვადი პროექტორის ეკრანებით, თაჩ დაფებით და სასწავლო პროცესისათვის საჭირო ყველა აპარატურით. ასევე, შეძენილი იქნა: ელ. წიგნების სკანერი და წამკითხველი (Ipad), ვიდეო-საკონფერენციო სისტემა, ენების ცენტრის ტექნიკური აღჭურვილობა და სპეციალური სასწავლო პროგრამა „GENESIS“. აკადემიის პრიორიტეტული სფეროების შესაბამისად, ბიბლიოთეკისათვის შეძენილი იქნა დამატებით საკითხავი ლიტერატურა, თანამედროვე და პოპულარული გამოცემები და ინგლისური ენის სახელმძღვანელოები

**შენიშვნა:** დასრულებულია

## 5.2 ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა მომზადება/გადამზადება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** ფინანსთა სამინისტროს აკადემია

**შესრულების მაჩვენებელი:** განხორციელებული ტრენინგები დაგადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** დაგეგმილ ვადებში, ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და სახაზინო სამსახურის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მიერ შემუშავებული და განხორციელებული იქნა შემდეგი ტრენინგები: „საგადასახადო კანონმდებლობა“, „საბიუჯეტო სისტემა, კლასიფიკაცია და სახელმწიფო ხაზინა“, „საბიუჯეტო ორგანიზაციების აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემები“, „ადამიანური რესურსების მართვის პრინციპები“, „სახელმწიფო შესყიდვები“, „შიდა აუდიტი“, „სახელმწიფო ვალის მართვა“, „მაკროეკონომიკური პროგნოზირება“, „სტატისტიკური მონაცემების დამუშავება STATA-ში“. აღნიშნულ კურსები წარმატებით გაიარა 883-მა მსმენელმა

**შენიშვნა:** დასრულებულია

## 5.3 საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) იმპლემენტირების მიზნით სასერტიფიკაციო კურსების ჩატარება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** ფინანსთა სამინისტროს აკადემია

**შესრულების მაჩვენებელი:** საბიუჯეტო ორგანიზაციებში გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა; დანერგილი სისტემის ეფექტური იმპლემენტაცია

**პერიოდი:** სექტემბერი-დეკემბერი

**პროგრესი:** მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ტრენინგები გაიარეს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის 7-მა თანამშრომელმა, რომლებიც მომზადდნენ ტრენინგ-ექსპერტებთან და სამომავლოდ სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომელთა გადამზადებაზე იზრუნებენ.

სასწავლო კურსის მიზანია მიაწოდოს მსმენელებს სიღრმისეული ცოდნა საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესახებ. კურსი მოიცავდა ისეთ საკითხებს როგორც არის: ძირითადი ფინანსური ანგარიშგებები, IPSAS 2-ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება, უცხოური ვალუტა, ძირითადი საშუალებები, შემოსავლები, ინვენტარი, თანამშრომელთა სარგებელი და მარაგები, სოფლის მეურნეობა, სამთავრობო სექტორი, დამოკიდებული მხარეების გამჟღავნება, ფასდათმობები.

**შენიშვნა:** დასრულებულია

#### **5.4 ელექტრონული ხაზინის განახლებული პროგრამის სახელმწიფო ხაზინის მართვის საინფორმაციო სისტემის (E-Treasury) დანერგვის ხელშეწყობის მიზნით სასერტიფიკაციო კურსების ჩატარება**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** ფინანსთა სამინისტროს აკადემია

**შესრულების მაჩვენებელი:** საბიუჯეტო ორგანიზაციებში გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა; დანერგილი სისტემის ეფექტური იმპლემენტაცია

**პერიოდი:** აპრილი-სექტემბერი

**პროგრესი:** საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 15 ივნისის №483 ბრძანების შესაბამისად დაინერგა სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა, რომლის მიხედვითაც ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციები (როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში) ეტაპობრივად გადავიდნენ ახალი ტიპის სისტემაზე. თუმცა, მომხმარებელთა ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინებისა და სისტემის ეფექტურობის ზრდის მიზნით 2012 წელს სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემამ ცვლილებები განიცადა.

განხორციელებული ცვლილებების დასაწერად, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისა და აკადემიის მჭიდრო თანამშრომლობით, შემუშავდა 37 საათიანი სასწავლო პროგრამა სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებული ბუღალტრებისა და საფინანსო მიმართულების თანამშრომლების გადამზადების მიზნით. პროგრამა მოიცავს: საბიუჯეტო კლასიფიკაციას, გადახდების პროცედურებს, ბუღალტრულ აღრიცხვას და სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის მიმართულებებს. პროგრამის ფარგლებში, განხორციელდა ტრენინგთა ტრენინგი და წინასწარი მომზადება.

30 აპრილიდან 25 მაისის ჩათვლით აღნიშნულ კურსი გაიარა 373 მსმენელმა. აქედან 124-მა მსმენელმა აიღო ტრენინგის წარმატებით გავლის სერტიფიკატი, 209 მსმენელმა ტრენინგის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი, 24 მსმენელმა ტრენინგი ვერ გაიარა, ხოლო 16 მსმენელი არ გამოვიდა გამოცდაზე

**შენიშვნა:** დასრულებულია

**5.5 სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების თანამშრომელთა პროფესიული მომზადება საბიუჯეტო პროცესისა და ბიუჯეტის ელექტრონული მართვის მიმართულებით**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** ფინანსთა სამინისტროს აკადემია

**შესრულების მაჩვენებელი:** განხორციელებული ტრენინგები და გადამზადებული საჯარო მოხელეების რაოდენობა

**პერიოდი:** ოქტომბერი-დეკემბერი

**პროგრესი:**

**შენიშვნა:** არ განხორციელდა

**5.6 IMF-ის ინსტიტუტის ტრენინგი თემაზე „ფისკალური პოლიტიკის საკითხები“ ორგანიზება**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** ფინანსთა სამინისტროს აკადემია

**შესრულების მაჩვენებელი:** განხორციელებული ტრენინგი; მონაწილეთა რაოდენობა

**პერიოდი:** მაისი-ივნისი

**პროგრესი:** 20-31 მაისს ფინანსთა სამინისტროს აკადემიამ რეგიონში პირველად უმასპინძლა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ინსტიტუტის სასწავლო კურსს თემაზე: „მაკროეკონომიკური მართვა და ფისკალური პოლიტიკის საკითხები“. კურსი აკადემიაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ეგიდით ჩატარდა და მასში ქართველ კოლეგებთან ერთად ცენტრალური აზიის და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. საერთაშორისო სემინარში მონაწილეობა მიიღეს: აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთის, ტაჯიკეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის ფინანსთა სამინისტროების წარმომადგენლებმა. ქართული მხრიდან - ფინანსთა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროების, ეროვნული ბანკის, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანამშრომლებმა. სასწავლო კურსს IMF-ის ინსტიტუტის წამყვანი სპეციალისტები კითხულობდნენ და მოიცავდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა: არსებული გამოწვევები გლობალურ ეკონომიკაში და მათი გავლენა სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში, მაკროეკონომიკური რეგულირება და ფისკალური მენეჯმენტი, საერთაშორისო სავალუტო ფონდის როლი კრიზისის დროს, საპენსიო მდგრადობა და რეფორმა, მაკროეკონომიკური პოლიტიკის გამოწვევები ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ქვეყნებისთვის და სხვა.

11 დღიანი კურსის ფარგლებში მონაწილეები სასწავლო პროგრამასთან ერთად საქართველოში მიმდინარე რეფორმებსაც გაეცნენ

**შესრულება:** დარსულებულია

**5.7 სახელმწიფო სტრუქტურებში შიდა აუდიტის დეპარტამენტების განვითარების ხელშეწყობის მიზნით ტრენინგების ჩატარება**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** ფინანსთა სამინისტროს აკადემია

**შესრულების მაჩვენებელი:** განხორციელებული ტრენინგები და გადამზადებულ საჯარო მოხელეთა რაოდენობა

**პერიოდი:** ივნისი - დეკემბერი

**პროგრესი:** სახელმწიფო სტრუქტურებში ახლად ჩამოყალიბებული შიდა აუდიტის დეპარტამენტების განვითარებისა და ერთეულებში შიდა აუდიტის პოლიტიკის ეფექტურად იმპლემენტირების მიზნით გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ და შიდა აუდიტის ჰარმონიზაციის ერთეულმა ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან თანამშრომლობით შეიმუშავა შიდა აუდიტის თანამშრომლებისათვის ტრენინგების ციკლი. 2012 წლის ივნისს ივლისში ჩატარდა ტრენინგი „შიდა აუდიტის საფუძვლები“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის 46-მა თანამშრომელმა

**შენიშვნა:** დასრულებულია

### 5.8 ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურისათვის სტაჟიორების შერჩევა

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** ფინანსთა სამინისტროს აკადემია

**შესრულების მაჩვენებელი:** მსურველთა რეგისტრაციის უზრუნველყოფა; კონკურსის ობიექტურად, ხარვეზების გარეშე და ეფექტურად ჩატარება; შერჩეული სტაჟიორები

**პერიოდი:** იანვარი-თებერვალი

**პროგრესი:** დაგეგმილ პერიოდში, ფინანსთა სამინისტროს აკადემიამ განხორციელა ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურისათვის სტაჟიორთა შესარჩევი კონკურსის ორგანიზება გამომიებლისა და ინსპექტორ გამომიებლების პოზიციაზე. კონკურსის ფარგლებში განხორციელდა საზოგადოების ინფორმირება, მსურველთა რეგისტრაცია და 4 ეტაპიანი შესარჩევი კონკურსის ორგანიზება. მონაწილეებმა გაიარეს: პროფესიული ტესტირება, ტესტირება ზოგად უნარებში, ინტელექტუალური კოეფიციენტის შესამოწმებელი ტესტები (IQ) და გასაუბრება საკონკურსო კომისიასთან. კონკურსის შედეგად შეირჩნენ წარმატებული კანდიდატები, რომლებიც ამ ეტაპზე მოსამზადებელ თეორიულ სწავლებას ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში გადიან

**შენიშვნა:** დასრულებულია

### 5.9 ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურისათვის სტაჟიორების გადამზადება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** ფინანსთა სამინისტროს აკადემია

**შესრულების მაჩვენებელი:** განხორციელებული ტრენინგები, სტაჟიორების შედეგად დასაქმებულ პირთა რაოდენობა

**პერიოდი:** მაისი-ივლისი

**პროგრესი:** კონკურსის შედეგად შერჩეულმა 63-მასტაჟიორმა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურში გაიარა პრაქტიკული კურსი და ამჟამად გადიან თეორიულ სწავლებას (საგამომიებო სამსახურის სტაჟიორთა მოსამზადებელი კურსი) ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში.

საგამომიებო სამსახურისა და ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მიერ ერთობლივად იქნენ შერჩეულნი ტრენინგები, მომზადდა 5 მოდულიანი სასწავლო პროგრამა და მასალები.

კურსი გაიარა 63 სტაჟიორმა, რომლებიც დაყოფილნი იყვნენ 2 ჯგუფად. თეორიული მომზადების შემდეგ მსმენელებს გადაეცათ აკადემიის სერტიფიკატები. წარმატებული სტაჟიორები კი დასაქმდებიან საგამომიებო სამსახურში შესაბამისი მიმართულებებით

**შესრულება:** დასრულებულია

### **5.10 შეფასების ცენტრისა და კარიერის განვითარებისა და დასაქმების ცენტრის ჩამოყალიბება**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** ფინანსთა სამინისტროს აკადემია

**შესრულების მაჩვენებელი:** ახალი სისტემის დანერგვა და პროექტის ამოქმედება

**პერიოდი:** იანვარი - დეკემბერი

**პროგრესი:** შეფასების ცენტრი მიზნად ისახავს პიროვნების ფსიქოლოგიური პორტრეტისა და შესაძლებლობების კვლევას. რაც გამოიყენება, როგორც პიროვნებისთვის სასურველი პროფესიის შერჩევაში, ასევე ორგანიზაციებისათვის მათი საკადრო რესურსის სწორად გამოყენებისა და გადანაწილების მიზნით. ცენტრის ამოქმედების მიზნით აკადემიამ შეიძინა 10 მიმართულების ექსკლუზიური ტესტი, კერძოდ: ზოგადი ვერბალური და რაოდენობრივი უნარების ტესტი; არავერბალური ინტელექტის საკვლევი ტესტი - IQ - GAMA; ყოველდღიური ყურადღების დიაგნოსტიკის ტესტი; მეხსიერების დიაგნოსტიკის ტესტი; ვიზუალური აღქმის ტესტი; კრიტიკული აზროვნების ტესტი (რაოდენობრივი დავალებები - დაფუძნებულია რიცხვებზე); პროფესიული მიმართულებების შესარჩევი ტესტები (პროფესიული ტესტები); მინესოტას პიროვნების საკვლევი კითხვარი (ფსიქოლოგიური და პიროვნული პორტრეტები); პროფესიული ორიენტაციის ტესტები; მოტივაციური პროფილის შემუშავების ტესტი.

კარიერის განვითარებისა და დასაქმების ცენტრის ფარგლებში კი აკადემიის ვებ-გვერდზე სისტემატურად თავსდება ინფორმაცია სასწავლო კურსგავლილ სერტიფიცირებულ მსმენელებზე. ამასთან ახალი კადრების მოძიებისა და დასაქმების მიზნით აკადემია აქტიურად მონაწილეობს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში მიმდინარე სტაჟირების კონკურსების ორგანიზებასა და განხორციელებაში. აღნიშნულ პერიოდში აკადემიამ განახორციელა სტაჟიორთა კონკურსი ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურისათვის, მომსახურების სააგენტოსა და შემოსავლების სამსახურისათვის

**შესრულება:** დასრულებულია

### **5.11 აკადემიაში ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** ფინანსთა სამინისტროს აკადემია

**შესრულების მაჩვენებელი:** ISO 9001:2008 ხარისხის მართვის სერტიფიკატის მოპოვება

**პერიოდი:** იანვარი - ივნისი



**პროგრესი:** ფინანსთა სამინისტროს აკადემიას ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2008 სერტიფიკატი გადაეცა. აკადემიას სერტიფიკატი 3 წლიანი ვადით მიენიჭა, რის საფუძველზეც აუდიტორთა მხრიდან ყოველწლიურად ჩაუტარდება შემოწმება თუ რამდენად ზრუნავს დანერგილი პროცესების შენარჩუნებასა და განვითარებაზე.

ხარისხის მართვის სერტიფიკატის მოპოვება და საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნების დანერგვა აკადემიას ავალდებულებს მუდმივად იყოს ორიენტირებული მომხმარებლებზე, მომსახურების ხარისხის გაზრდაზე და შიდა პროცესების ჩამოყალიბება/გაუმჯობესებაზე

**შენიშვნა:** დასრულებულია

### **5.12 თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და მსოფლიოს წამყვან საგანმანათლებლო ცენტრებთან**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** ფინანსთა სამინისტროს აკადემია

**შესრულების მაჩვენებელი:** მემორანდუმის გაფორმება; ერთობლივი საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება

**პერიოდი:** იანვარი - დეკემბერი

**პროგრესი:** მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) ფარგლებში გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რის საფუძველზეც ჩატარდა TOT-ი ტრენინგების სერია; შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსა და ჟენევის სამაგისტრო ინსტიტუტის მხარდაჭერით ჩატარდა საერთაშორისო ტრენინგი ფინანსებში; აშშ-ს საელჩოსთან თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა სახის პროექტები; ჰოლანდიისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ხორციელდება 7 კომპონენტის პროექტი აკადემიის აქტიური მონაწილეობითა და ჩართულობით; გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ლონდონის ბიზნესისა და ფინანსების სკოლასთან (LSBF) რაც ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამების საქართველოში დანერგვას და გრძელვადიან პერსპექტივაში რეგიონული წარმომადგენლის სტატუსის მიღებას. მოლაპარაკების ფარგლებში დისტანციური სწავლების კურსებზე აკადემიაში დარეგისტრირებული მსურველები მიიღებენ 40%-იან ფასდაკლებას

**შენიშვნა:** დასრულებულია

### **5.13 სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციებისა და დაინტერესებული ფიზიკური პირებისათვის სასერტიფიკაციო და ტრენინგ-პროგრამების განხორციელება**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** ფინანსთა სამინისტროს აკადემია

**შესრულების მაჩვენებელი:** განხორციელებული ტრენინგები და გადამზადებულ პირთა რაოდენობა

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N996 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში საქართველოს ფინანსთა

მინისტრის 2012 წლის 30 იანვრის N35 ბრძანებით შეტანილი ცვლილების შესაბამისად, ზედნადები ივსება ელექტრონულად. გამომდინარე იქიდან, რომ გადამხდელი ზედნადებს ავსებს ელექტრონულად და ვალდებულია განახორციელოს რეგისტრაცია სამსახურის ვებ-გვერდზე, ფინანსთა სამინისტროს აკადემიამ შეიმუშავა დაინტერესებული კერძო ორგანიზაციებისთვის და ფიზიკური პირებისთვის ტრენინგი თემაზე „ელექტრონული სასაქონლო ზედნადების შევსების წესი“. კურსის ფარგლებში მსმენელები გაეცნენ გადამხდელებისთვის ახალ ელექტრონულ პროგრამაში შევსების პროცედურებს და მასთან დაკავშირებულ დეტალებს, რაც გაუმარტივებთ მათ საგადასახადო სფეროში მუშაობას.

ტრენინგის შედეგად წარმატებით გადამზადდა 105 მონაწილე.

მოქმედი ბუღალტრების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით შემუშავებულ იქნა 60 საათიანი სასწავლო პროგრამა საგადასახადო ადმინისტრირების მიმართულებით და გადამზადდა 9 ადამიანი.

დამწყები ბუღალტრებისათვის შემუშავდა „ბუღალტერიის ზოგადი კურსი“ და „საგადასახადოს კურსი დამწყები ბიზნესმენებისათვის“, რომელთა ფარგლებშიც დატრენინგდა 16 მონაწილე. „საგადასახადო აუდიტის“ კურსზე დატრენინგდა 40 მონაწილე.

„ეფექტური მომსახურებისა და კომუნიკაციის“ სპეციალურად შემუშავებული კურსის ფარგლებში 2012 წლის თებერვალში დატრენინგდა 8 ადამიანი

**შენიშვნა:** დასრულებულია

### III - აღრიცხვა და ანგარიშგება

#### 1. სახელმწიფო სექტორში აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა (IPSAS)

##### 1.1 IPSAS-ის ტრენერთა ტრენინგი დასაქართველოს საჯარო სექტორში დასაქმებულ ბუღალტერთა სერთიფიცირებისა და გადამზადების სისტემის შემუშავება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სახაზინო სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** IPSAS-ში გადამზადებული ტრენერები და შემუშავებული სერთიფიცირების და გადამზადების სისტემა

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** მსოფლიო ბანკის შესყიდვების პროცედურების შესაბამისად შერჩეული IPSAS ტრენინგის კონსულტანტის მიერ სახაზინო სამსახურის აღრიცხვის მეთოდოლოგიის და ანალიზის დეპარტამენტის თანაშრომლებისთვის ჩატარდა IPSAS ტრენინგების მეორე ეტაპი (გაძლიერებული კურსი), რომელიც ითვალისწინებდა მსმენელების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებში (IPSAS) ღრმა თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღებას. აღნიშნული ტრენინგის

შემდგომ მსმენელებიდან შერჩეულ იქნა ტრენერები, რომლებმაც უნდა გადაამზადონ საჯარო სექტორის ბუღალტრები საერთაშორისო სტანდარტებში.

ტრენინგის კონსულტანტის მიერ ასევე შემუშავებულ იქნა გადამზადების და სერთიფიცირების მეთოდოლოგია, რომლითაც განხორციელდება საჯარო სექტორის ბუღალტრების დატრენინგება და სერთიფიცირება საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებში (IPSAS)

**შენიშვნა:** დასრულებულია

## 1.2 IPSAS-ის ოფიციალური თარგმანის გამოცემა

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სახაზინო სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** ქართულ ენაზე ოფიციალურად გამოცემული IPSAS

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** ევროკავშირის დაფინანსებით და ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მოთხოვნების გათვალისწინებით, დაიწყო IPSAS-ის ოფიციალურად თარგმნის პროცესი: გაფორმდა მემორანდუმი IFAC-თან IPSAS-ის ქართულ ენაზე ოფიციალურ თარგმანსა და გამოცემასთან დაკავშირებით; თარგმნებისა და „მიმომხილველი კომიტეტის“ მეშვეობით, დაიწყო IPSAS-ის ქართულ ენაზე თარგმნა და რედაქტირება

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

## 1.3 მოდიფიცირებული საკასო მეთოდის შესაბამისი აღრიცხვისა და ანგარიშების მეთოდოლოგიის ჩამოყალიბება სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციებისათვის

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სახაზინო სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** შემუშავებული „სახელმწიფო ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციებში მოდიფიცირებული საკასო მეთოდის საფუძველზე აღრიცხვისა და ანგარიშების ინსტრუქცია“

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** მოდიფიცირებული საკასო მეთოდის შესაბამისი აღრიცხვისა და ანგარიშების მეთოდოლოგია ჩამოყალიბდა ნორმატიული აქტის სახით და გაეგზავნა საქართველოს საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭოს წევრებს შესათანხმებლად. მოწოდებული წინადადებების და შენიშვნების გათვალისწინებით, მოხდება აღნიშნული პროექტის საბოლოო სახით ჩამოყალიბება და ფინანსთა მინისტრის ბრძანების სახით დამტკიცება.

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

## 1.4 საჯარო სექტორში დასაქმებულ ბუღალტერთა გადამზადება საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებში (IPSAS)

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სახაზინო სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** გადამზადებული ბუღალტრები

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** სახაზინო სამსახურის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების გადამზადების მიზნით, მომზადდა ტრენინგ-პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს IPSAS-ის ზოგადი პრინციპების, ძირითადი დებულებებისა და მოდიფიცირებული საკასო მეთოდის შესაბამისი მეთოდოლოგიის სწავლებას. აღნიშნული ტრენინგ-პროგრამით სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი მხარჯავი დაწესებულებების ბუღალტრების გადამზადება იგეგმება 2013 წლის იანვრიდან.

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

**1.5 ხაზინის მთავარი წიგნის მოდულების დანერგვა ეტაპობრივად**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სახაზინო სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** ხაზინის მთავარი წიგნის ზოგიერთი მოდულის დანერგვა პროექტის გეგმის შესაბამისად

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის და სახელმწიფო ხაზინის ერთობლივი მუშაობის შედეგად, პროექტის პირველ ეტაპზე ანალიტიკურად დამუშავდა შრომის ანაზღაურების მოდულიდან ხაზინის მთავარ წიგნში როგორც საკასო, ასევე, დარიცხვის ინფორმაციის გადატანის პროცესი. მხარჯავი დაწესებულებები დატრენინგდა შრომის ანაზღაურების მოდულის ბაზაზე შექმნილი ხაზინის მთავარი წიგნის სისტემის გამოყენებასთან დაკავშირებით. მიმდინარეობს აღნიშნული სისტემის ტესტირება. რეალურ რეჟიმში ექსპლუატაცია იგეგმება 2013 წლის იანვრიდან. ამჟამად,

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

## IV - შიდა აუდიტი

### 1. შიდა აუდიტის პროცედურების სრულყოფა

**1.1 შიდა აუდიტის სუბიექტებისთვის უნიფიცირებული დებულების შემუშავება**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** შიდა კონტროლთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საბჭო/სამდივნო

**შესრულების მაჩვენებელი:** შიდა აუდიტის სუბიექტებისათვის გაგზავნილი დებულების ფორმა

**პერიოდი:** იანვარი-მარტი

**პროგრესი:** შიდა კონტროლთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საბჭოს სამდივნომ 2012 წლის დასაწყისში დაიწყო შიდა აუდიტის სუბიექტებისათვის სამოდულო უნიფიცირებული დებულების შემუშავებაზე მუშაობა. დებულება მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან და აუცილებელ საკითხების, როგორცაა შიდა აუდიტის დამოუკიდებლობა, მიზნები, ამოცანები, ფუნქციები, უფლება-მოვალეობანი, ანგარიშგება და კონტროლის პალატასთან თანამშრომლობა. სამუშაო ვერსია წარედგინათ შიდა აუდიტის სუბიექტებს და 2012 წლის მარტში განხორციელდა მათთან სამუშაო შეხვედრის ორგანიზება, სადაც შიდა აუდიტის სუბიექტის თითოეულ წარმომადგენელს შეეძლო თავისი მოსაზრება დაეფიქსირებინა. განხილვისა და მსჯელობის შედეგად, მოხდა დებულების სრულყოფა და 29 ივნისს, შიდა კონტროლთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ საბჭოზე დამტკიცდა

**შენიშვნა:** დასრულებულია

### **1.2 სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის შესახებ წლიური ანგარიშის მომზადება და საბჭოსთვის წარდგენა**

**პასუხისგებელი სტრუქტურა:** შიდა კონტროლთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საბჭო/სამდივნო

**შესრულების მაჩვენებელი:** წლიური ანგარიში

**პერიოდი:** მარტი-აპრილი

**პროგრესი:** შიდა კონტროლთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საბჭოს სამდივნომ 2012 წლის დასაწყისში დაიწყო მუშაობა ჰარმონიზაციის ცენტრის წლიური ანგარიშის მომზადებაზე. შიდა აუდიტის სუბიექტებისგან მიღებული შიდა აუდიტის წლიური ანგარიშები და 2011 წლის წლიური გეგმები წარმოადგენდა ინფორმაციის წყაროს, რის საფუძველდაც განხორციელდა ცენტრის წლიური ანგარიშის შემუშავება. ასევე, განხორციელდა კითხვარის დარიგება და რაოდენობრივი ინფორმაციის მოპოვება. ანგარიში მოიცავს 2010-2011 წლის მონაცემებს, სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის ჩამოყალიბების საფუძველს და ისტორიას. ასევე, შიდა აუდიტის ფუნქციონირების ანალიზს, კვლევის შედეგებს, ჰარმონიზაციის ცენტრის მიღწევებს წლის განმავლობაში და მნიშვნელოვან რეკომენდაციებს აღნიშნული რეფორმის გაუმჯობესების კუთხით. ანგარიში მომზადდა 2012 წლის აპრილს, დაეგზავნათ შიდა აუდიტის სუბიექტებს და განხილული იქნა საბჭოს სხდომაზე 29 ივნისს. შედეგად, საბოლოო ფორმით დამტკიცდა

**შენიშვნა:** დასრულებულია

### **1.3 ტრეინინგების ორგანიზება შიდა აუდიტორებისათვის და შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსებისათვის**

**პასუხისგებელი სტრუქტურა:** შიდა კონტროლთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საბჭო/სამდივნო

**შესრულების მაჩვენებელი:** განხორციელებული ტრეინინგები

**პერიოდი:** მაისი-ოქტომბერი

**პროგრესი:** საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ-ის დახმარებით განხორციელდა ტრენინგის საჭიროებათა ანალიზი და შედეგად შემუშავდა ტრენინგების სტრატეგია, რომელიც აყალიბებს ტრენინგების კონცეფციას. აღნიშნული სტრატეგია გამოყოფს ტრენინგების სხვადასხვა მოდულებს, ესენია შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსებისათვის, აუდიტორებისათვის საბაზისო და გაძლიერებული ტრენინგები, ასევე ტრენერთა ტრენინგი. 2012 წლის 7-11 ივნისს განხორციელდა სსიპ „ფინანსთა სამინისტროს აკადემიის“ ბაზაზე პირველი საბაზისო ტრენინგი 25 კანდიდატისთვის. წარმოდგენილი იყვნენ შიდა აუდიტორები, როგორც სამინისტროებიდან, ასევე საქართველოს მთავრობის კანცელარიიდან, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციიდან, ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებიდან და აჭარის მუნიციპალიტეტებიდან. ტრენინგს უძღვებოდნენ გერმანელი ექსპერტები, გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოქმედი შიდა აუდიტორები. საბაზისო ტრენინგის ორგანიზებას წინ უძღოდა ადგილობრივ ტრენერთა კანდიდატების შერჩევა. შემდგომ ეტაპზე 3-6 ივლისს გერმანელ ექსპერტს თანა-ტრენერობას უწევდნენ 2 შიდა აუდიტორი და ჰარმონიზაციის სამსახურის 2 თანამშრომელი. ამ კუთხით 2012 წელს სულ მომზადდა 15 კანდიდატი, აქედან ოთხი ამჟამად მოქმედი ტრენერია. წლის ბოლოს, 10-13 დეკემბერს საბაზისო ტრენინგი ქართველმა ტრენერებმა დამოუკიდებლად ჩაატარეს და ყველაზე დიდი შეფასება მიიღეს. ამავდროულად, წლის მეორე ნახევარში ჩატარდა გაძლიერებული ტრენინგი აქტუალურ თემებზე, როგორცაა რისკის შეფასება, რისკის შეფასებაზე დაფუძნებული წლიური დაგეგმვა, ეფექტიანობის აუდიტი და კორუფციასთან ბრძოლა. თითოეულ ტრენინგს ესწრებოდა 20-დან 25-მდე შიდა აუდიტის თანამშრომელი

**შენიშვნა:** დასრულებულია

#### **1.4 სათანადო კანდიდატების შერჩევა და ტრენერთა ტრენინგის ორგანიზება ადგილობრივ ტრენერთა რესურსის ბაზის ჩამოყალიბების მიზნით**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** შიდა კონტროლთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საბჭო/სამდივნო

**შესრულების მაჩვენებელი:** განხორციელებული ტრენინგები

**პერიოდი:** მაისი- ივლისი

**პროგრესი:** 2012 წლის მაისში შიდა კონტროლთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საბჭოს სამდივნომ ჩამოაყალიბა ადგილობრივ ტრენერთა შერჩევის კრიტერიუმები. მათ მიხედვით განხორციელდა შიდა აუდიტის სუბიექტის თანამშრომელთა რიგებიდან ასეთი კანდიდატების შერჩევა. კანდიდატები შემდეგ კრიტერიუმებს აკმაყოფილებდნენ: 1 წელიწადზე მეტი გამოცდილება შიდა აუდიტში, ინგლისური ენის ცოდნა და ტრენერობის სურვილი. შეირჩა 8 კანდიდატი, აქედან 2 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენელი. მათ გაიარეს 3 დღიანი (20-22 ივნისი) გადამზადების კურსი- ტრენერთა ტრენინგი (ToT) და ამის შემდეგ ორ დღიანი (25-26 ივნისი) სამუშაო შეხვედრა გერმანელ ექსპერტთან. კანდიდატებმა წარადგინეს საბაზისო ტრენინგის ირგვლივ პრეზენტაციები და ქეისები. ასევე, იმსჯელეს ჯგუფში შიდა აუდიტის მარკეტინგულ კონცეფციაზე. შედეგად, ექსპერტის მიერ შერჩეულ იქნა 3 კანდიდატი და ჰარმონიზაციის სამსახურის ხელმძღვანელი, რომლებიც შემდგომ საბაზისო ტრენინგზე თანატრენერის ფუნქცია იკისრებენ. დარჩენილი გადამზადებული ტრენერ-კანდიდატებიდან ჩამოყალიბდა შიდა აუდიტის მარკეტინგის კონცეფციაზე მომუშავე ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევს სამდივნოს წევრი.

ადგილობრივ ტრენერთა რესურსის გადამზადების მეორე ეტაპი განხორციელდა 17-19 ოქტომბერს, სადაც არსებულ მონაწილეებს დაემატა 6 ახალი კანდიდატი და გაიარეს ტრენერთა ტრეინინგი. პოლიტიკური ცვლილებებიდან გამომდინარე აქტუალური გახდა შიდა აუდიტის პოპულარიზაციის ირგვლივ პრეზენტაციების განხორციელება. შესაბამისად, მარკეტინგული კონცეფციის არსებობამ კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა. 19-20 დეკემბერს შედგა ტრენერთა კანდიდატების სამუშაო შეხვედრა, სადაც ორი გუნდი მუშაობდა სხვადასხვა საკითხზე. ერთის მხრივ განხორციელდა საბაზისო ტრეინინგის სესიებად ჩაშლა, გერმანელი ექსპერტის მასალების დახვეწა და მთლიანად ქართულ რეალობას მორგება, და მეორეს მხრივ მუშაობა მიმდინარეობდა მარკეტინგული კონცეფციისა და ერთდღიანი ტრეინინგის თემაზე. სამუშაო შეხვედრის ბოლოს, განხორციელდა შედეგების პრეზენტაცია. შედეგად, 2012 წლის 10-13 დეკემბერს საბაზისო ტრეინინგი მთლიანად ადგილობრივი ტრენერების მიერ იქნა ჩატარებული და ტრეინინგმა ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო. ამასთან, 14 დეკემბერს შემუშავებული მარკეტინგული კონცეფციის საშუალებით განხორციელდა კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილისათვის შიდა აუდიტის კონცეფციის წარდგენა

**შენიშვნა:** დასრულებულია

### 1.5 არსებული მეთოდოლოგიური დოკუმენტების გაუმჯობესება/დამტკიცება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** შიდა კონტროლთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საბჭო/სამდივნო

**შესრულების მაჩვენებელი:** საქართველოს მთავრობის ან საქართველოს ფინანსთა მინისტრის სამართლებრივი აქტი

**პერიოდი:** იანვარი-მარტი

**პროგრესი:** წლის დასაწყისში განხორციელდა არსებული მეთოდოლოგიური დოკუმენტების გადახედვა და მათი ანალიზი. საბჭოს სამდივნოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შიდა აუდიტის ერთიანი მეთოდოლოგიის შემუშავების აუცილებლობის შესახებ, რომელიც გააერთიანებს ამჟამად არსებულ ორ დოკუმენტს: შიდა აუდიტორთა სახელმძღვანელო პრინციპებს და შიდა აუდიტის მეთოდოლოგიას, რომელიც დამტკიცებულ იქნა 2010 წლის 30 ივლისს. შიდა აუდიტის მეთოდოლოგია შემცვლელი იქნება დეტალური ინფორმაციის შიდა აუდიტის მთელი ციკლის შესახებ და ასევე, დანართების სახით წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა ნიმუშები და ფორმები. დოკუმენტზე მუშაობა დაიწყო 2012 წლის სექტემბერში. აღნიშნულ დოკუმენტზე მუშაობა გაგრძელდება 2013 წლის მარტამდე, ვინაიდან თითოეული შემუშავებული თავის შიდა აუდიტორებისათვის წარდგენა ხორციელდება ეტაპობრივად. შესაბამისად, პრაქტიკაში მისი ჩამოყალიბების მეტი ეფექტურობისათვის მეტი დროა საჭირო. ამჟამად, მეთოდოლოგიის ორი მესამედი მომზადებულია

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

### 1.6 პილოტური აუდიტების ჩატარების ორგანიზება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** შიდა კონტროლთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საბჭო/სამდივნო

**შესრულების მაჩვენებელი:** შიდა აუდიტორული ანგარიში

**პერიოდი:** ივნისი-ნოემბერი

**პროგრესი:** პილოტური აუდიტების განხორციელება იყო მე-4 კვარტალიდან დაგეგმილი. არსებულმა პოლიტიკურმა ცვლილებებმა გამოიწვია ვადებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა. შერჩეულ ექსპერტთან კონსულტაციის შედეგად, პილოტური აუდიტები 2013 წლის თებერვალ-აპრილში განხორციელდება, რომლის მიზანია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზება და ადგილზე კვალიფიკაციის ამაღლება. ამჟამად, შერჩეულია ექსპერტი, რომელიც გაუწევს კოორდინაციას და ორგანიზებას პილოტური აუდიტების ჩატარებას. დაწყებულია დარგობრივი სამინისტროების შერჩევის ეტაპი. სამინისტროებს გადაეგზავნათ დაწვრილებითი ინფორმაცია პილოტური აუდიტის შესახებ და ეთხოვათ მონაწილეობის სურვილის დაფიქსირება. ამასთან, ჰარმონიზაციის სამსახური იტოვებს უფლებას ექსპერტთან ერთად მოახდინოს საპილოტე კანდიდატების შერჩევა. ამჟამად, სურვილი გამოთქვა 5-მა სამინისტრომ

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

### **1.7 წლის განმავლობაში მინიმუმ 4 საბჭოს სხდომის და საჭიროებისამებრ სამუშაო შეხვედრების ორგანიზება**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** შიდა კონტროლთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საბჭო/სამდივნო

**შესრულების მაჩვენებელი:** განხორციელებული შეხვედრები

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** წლის დასაწყისში ორგანიზებულ იქნა სამუშაო შეხვედრა GIZ-ის დახმარებით, სადაც განხილული იყო შიდა აუდიტის როლი და ფუნქცია, ასევე რისკების შეფასება. შეხვედრას ესწრებოდნენ 12 სამინისტროს, მთავრობის კანცელარიისა და კონტროლის პალატის შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსები, GIZ-ის წარმომადგენლები და საბჭოს სამდივნოს წევრები. სემინარს გაუძღვა გერმანელი ექსპერტი, რომელმაც მოახდინა ტიპიური შიდა აუდიტის პროცესის, შიდა აუდიტორული მეთოდებისა და მიდგომების ილუსტრირება და განხილვა, ასევე, გერმანიის პრაქტიკის შედარება საქართველოში არსებულ რეალობასთან.

მარტის თვეში საქართველოს ფინანსთა სამინისტროში გაიმართა შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსების სამუშაო შეხვედრა. შეხვედრის მიზანი იყო შიდა კონტროლის საბჭოს სამდივნოს მიერ მომზადებული სანიმუშო დებულების პროექტის განხილვა. შეხვედრას ესწრებოდა თითქმის ყველა შიდა აუდიტის სუბიექტის წარმომადგენელი. დებულების პროექტთან დაკავშირებით იქნა გამოთქმული მოსაზრებები და წინადადებები. ამის გარდა, სამუშაო შეხვედრა დაეთმო დაგეგმილ ტრენინგებთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესებსა და მორიგი საბჭოს სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრას.

29 ივნისს გაიმართა შიდა კონტროლთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საბჭოს რიგით მეხუთე (2012 წელს პირველი) შეხვედრა. განხილულ საკითხებს შორის მთავარი იყო ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ მომზადებული წლიური ანგარიში, რომელიც დამსწრე საზოგადოებას სამდივნოს უფროსმა გააცნო. გარდა საბჭოს წევრებისა, სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს სახელმწიფო



აუდიტის სამსახურის თავმჯდომარის მოადგილე, თბილისის მერიის შიდა აუდიტის სუბიექტისა და პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წარმომადგენლები.

26 ივნისს გაიმართა მარკეტინგის კონცეფციაზე მომუშავე ჯგუფის ფორმირება და პირველი შეხვედრა. ჯგუფის მთავარ მიზანს წარმოადგენს შიდა აუდიტის ფუნქციების გაცნობა დაწესებულებაში მომუშავე თანამშრომლებისათვის. ამისათვის, სამუშაო ჯგუფი შეიმუშავებს მარკეტინგულ კონცეფციას, რის მიხედვითაც წლის ბოლომდე მოხდება შესაბამისი პრეზენტაციების თუ გაცნობითი შეხვედრების ორგანიზება, როგორც დაწესებულების ხელმძღვანელების დონეზე, ასევე შიდა აუდიტის ობიექტის თანამშრომელთათვის. სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს სამდივნოს წევრი.

24 სექტემბერს გაიმართა შიდა კონტროლთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საბჭოს რიგით მეექვსე (2012 წელს მეორე) შეხვედრა. განხილულ საკითხებს წარმოადგენდა შიდა აუდიტის მეთოდოლოგია, პილოტური აუდიტები და იმ მომენტისთვის შემუშავებული შიდა აუდიტორული ანგარიშის განხილვა. აღსანიშნავია, რომ მეთოდოლოგიაზე მუშაობა დაიწყო ეტაპობრივად. თითოეული ნაწილის შემუშავებას თან სდევდა მისი საბჭოს სხდომაზე განხილვა ან სამუშაო ჯგუფის შეკრება.

27 დეკემბერს გაიმართა შიდა კონტროლთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საბჭოს რიგით მეშვიდე (2012 წელს მესამე) შეხვედრა. თუმცა მანამდე, დეკემბერში დამატებით ორი სამუშაო შეხვედრა გაიმართა საბჭოს წევრებისათვის ერმანული თანამშრომლობის საზოგადოება GIZ-ის დახმარებით, სადაც სამუშაო თემას წარმოადგენდა ტრენინგების შეფასება და წლიური დაგეგმვა. საბჭოს ამ წლისათვის ბოლო შეხვედრის მიზანი იყო 2012 წლის შედეგების შეჯამება და სტატისტიკური მონაცემები, ასევე სამდივნოს სამომავლო გეგმის წარმოდგენა

**შენიშვნა:** დასრულებულია

### **1.8 შიდა აუდიტის წლიური ანგარიშის, შიდა აუდიტის სტრატეგიული და წლიური გეგმის ერთიანი ფორმის შემუშავება/ დამტკიცება**

**პასუხისგებელი სტრუქტურა:** შიდა კონტროლთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საბჭო/სამდივნო

**შესრულების მაჩვენებელი:** შიდა კონტროლთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საბჭოს სხდომის ოქმი

**პერიოდი:** ოქტომბერი-ნოემბერი

**პროგრესი:** 2012 წლის მე-4 კვარტალში მეთოდოლოგიაზე მუშაობის პროცესში შემუშავდა წლიური და სტრატეგიული გეგმების ერთიანი ფორმები. ისინი, წარმოადგენენ მთლიანი დოკუმენტის ნაწილს. შესაბამისად, მათი დამტკიცება განხორციელდება მთლიანი მეთოდოლოგიის მთავრობის მიერ დამტკიცების შემთხვევაში. ამჟამად, დეკემბერში განხორციელებულ სამუშაო შეხვედრაზე და შემდგომ საბჭოს მე-7 სხდომაზე მოხდა აღნიშნული დოკუმენტების განხილვა და საბჭოს წევრებისგან შენიშვნებისა და მოსაზრებების მიღება. საბოლოოდ, საბჭომ მოიწონა შემუშავებული დოკუმენტები, რითიც მათ გადაწყვიტეს წელს ეხელმძღვანელათ წლიური და სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესში. საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ შემდეგ წელს მეთოდოლოგიასთან ერთად განხორციელდება აღნიშნული დოკუმენტების დამტკიცება.

ვინაიდან, კანონით შიდა აუდიტის სუბიექტებმა წლიური ანგარიში მომდევნო წლის იანვრის ბოლომდე უნდა წარადგინონ, ამიტომ შემუშავდა წლიური ანგარიშის ერთანი ფორმა, რომელიც შიდა აუდიტის სუბიექტებს გადაეგზავნებათ იანვრის დასაწყისისთვის

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

## V - საინფორმაციო ტექნოლოგიები

### 1. საინფორმაციო ტექნოლოგიების გაუმჯობესება და განვითარება

#### 1.1 ელექტრონული ბიუჯეტირების სისტემის მხარდაჭერა და ახალი ბიზნეს პროცესების შემუშავება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** ბიუჯეტირების პროცესების უზრუნველყოფა ელექტრონული სისტემის მეშვეობით

**პერიოდი:** იანვარი - დეკემბერი

**პროგრესი:** დასრულებულია ხუთივე ტიპის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობებით ხაზინაში რესურსების კონტროლის (კერძოდ რესურსების გაყინვისა და გაყინული რესურსების აღდგენის) ამოცანა; დასრულებულია ცნობის მე - 6 ტიპი, რომელითაც ხდება ხაზინაში რესურსების გაყინვა; დასრულებულია კომენტარებისა და ვალიდაციების მექანიზმები ექვსივე ტიპის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობებსა და მიზნობრივი გრანტის ცვლილების ცნობებში, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია კონკრეტული ბოლო დონის საბიუჯეტო ორგანიზაციული კოდის (სახაზინო კოდის) კონკრეტულ ეკონომიკურ მუხლზე, კონკრეტულ კვარტალში ვალდებულებაზე, მოთხოვნაზე, გეგმაზე რესურსების და სხვა საჭირო ინფორმაციის გაგება.

დასრულებულია სტრუქტურული ცვლილების ცნობების ჯაჭვები, ვალიდაციებისა და რეპორტირების მექანიზმით, რომლითაც შესაძლებელია ერთი ჯაჭვის შიგნით ოპერაციების განხორციელება.

დასრულებულია სახელმწიფოს დაქვემდებარებაში არსებული იურიდიული პირების (სსიპ, ა(ა)იპ, შპს, სს) ელექტრონული სისტემა, რომლის საშუალებითაც ზემოთაღნიშნული იურიდიული პირები მოახდენენ ინფორმაციის დეკლარირებას საჭირო პერიოდულობით.

დასრულებულია ბიუჯეტირების სისტემის მომხმარებლებისა და უფლებების ერთიან ელექტრონულ სისტემაზე მიბმის ამოცანა. დასრულებულია ცვლილების ცნობების ამოცანა ბიუჯეტირების შემდეგ პორტალებში:

- ფინანსური პოლიტიკის დეპარტამენტი (შემოსავლები)
- საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი (შემოსავლები - ბიუჯეტის მხარდამჭერი პროექტები)
- საბიუჯეტო დეპარტამენტი (ნაშთები)

დასრულებულია ცვლილების ცნობების კალათის ამოცანა - კალათის გამოყენებით ხდება ბიუჯეტების სხვადასხვა პორტალების ცნობების და კანონში ცვლილების ჯაჭვების ერთ ადგილას თავმოყრა, ვალიდირება (შემოწმება რომ კალათის ცნობები ერთმანეთს აბალანსებენ და ბიუჯეტების პორტალების ანასახებისა და წლიური ფაილების ცალკეული ჩანაწერები არ ხდებიან უარყოფითი), კვარტალური ნაერთის რეპორტების ამოღება კალათის ცნობების გათვალისწინებით და კალათის დამტკიცება

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

### 1.2 ელექტრონული ხაზინის ახალი სისტემა განახლებული ბიზნეს პროცესებით

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** ელექტრონული ხაზინის ახალი სისტემა

**პერიოდი:** იანვარი - დეკემბერი

**პროგრესი:** მიმდინარეობს მუშაობა ელექტრონული ხაზინის სისტემაში ბუღალტრული პროცესების ავტომატიზაციაზე, რომლის მიზანია ელექტრონული ბუღალტრული მთავარი წიგნის მიღება. აღნიშნულ საკითხზე დასრულებულია მუშაობა და ტესტირება ხელფასების დარიცხვის კუთხით, რომლის ფარგლებში შემუშავდა ელექტრონული უწყისის ახალი ფორმა, ხელფასების გადარიცხვის ბუღალტრული გატარებების და ხაზინის მთავარი წიგნის ლოგიკა. სისტემაში ჩამენებული ახალი ფუნქციონალით ხდება ბანკის მიერ მობრუნებული თანხების სახელფასო უწყისის დონზე დაიდენტიფიცირება, რომელშიც ინტეგრირებულია საჭირო ბუღალტრული გატარებები. ასევე, დაემატა ახალი მოდული, რომლის ფარგლებშიც ხდება წინა წლის ნაშთების ბუღალტრული ანგარიშების ჭრილში ადმინისტრირება. ხსენებული ფუნქციონალიც ინტეგრირებულია მთავარ წიგნთან.

აღნიშნული მოდული მზად არის 1 იანვარს სამუშაო გარემოში გასაშვებად

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

### 1.3 DMS (Debt Management System) სისტემის სრულყოფა და დანერგვა ფინანსთა სამინისტროში

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** eDMS სისტემა დანერგილია ხაზინაში და საგარეო ურთიერთობა დეპარტამენტში

**პერიოდი:** იანვარი - დეკემბერი

**პროგრესი** შიდა ვალის აღრიცხვის და მომსახურების მოდული გაშვებულია სრულ სამუშაო რეჟიმში, რომლის მეშვეობით შესაძლებელია სრული ინფორმაციის მიღება სახელმწიფოს მიერ ჩატარებული ფასიანი ქაღალდების აუქციონების დეტალების, პირობების და მათი მომსახურების გრაფიკის. სისტემას დაემატა ემიის გეგმების ნაწილი, რომლის ფარგლებში შესაძლებელია აღრიცხვა და მართვა მომდევო წლებში ჩასატარებელი აუქციონების და განხორციელებული ცვლილებების შენახვა.

სისტემა ინტეგრირებულია ელექტრონული ბიუჯეტების და ხაზინის სისტემებთან, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ბიუჯეტებისთვის საჭირო ინფორმაციის, მათ შორის განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტების დეტალების და ბიუჯეტის მხარდამჭერი პროექტების თანხების გაგზავნა. მოდულს დაემატა ახალი ფუნქციონალი, რომლის მეშვეობით ცვლილების ცნობებით განხორციელდება ბიუჯეტის მხარდამჭერ პროექტებზე დამტკიცებული თანხების ცვლილება.

საშინაო სესხში დაემატა რეესტრის გენერირების მოდული, რომლითაც მოხდება ყველა არსებულ სესხზე კონკრეტული თარიღისთვის დეტალების მონაცემების მიღება და მისი შემდგომი პროცესირება.

სისტემაში ჩაშენდა ახალი ელექტრონული სერვისი, რომლითაც შესაძლებელია სახელმწიფოს მიერ გაცემულ სესხზე ხაზინაში განხორციელებულ გადახდებზე ინფორმაციის მიღება

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

#### **1.4 მონაცემთა უსაფრთხოების და სისტემების მდგრადობის უზრუნველყოფა**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** ბიზნეს პროცესების უწყვეტობის ცენტრი

**პერიოდი:** იანვარი - დეკემბერი

**პროგრესი :**

- მონაცემთა სარეზერვო ცენტრის მშენებლობა, აღჭურვა და ექსპლოატაციაში გაშვება.
- ახალი Gateway-ს დანერგვა, გლობალური IP მისამართების შექმნა და პროვაიდერების დუბლირება.
- ინფორმაციული უსაფრთხოების დაშვების ბარათული სისტემის დანერგვა.
- სარეზერვო კოპირების დისკური სისტემის დანერგვა.
- აქციზური მარკების მართვის ინფრასტრუქტურის შექმნა.
- შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზების ინტეგრაცია და სატესტო ინფრასტრუქტურის განვითარება.
- სამინისტროს მომხმარებლების დომენიზაცია და ლოკალური სერვერების დანერგვა.
- გარე სერვისების მოდელის დანერგვა და სხვა ორგანიზაციებისათვის სერვისების მიწოდება.
- PKI უსაფრთხოების ინფრასტრუქტურის დანერგვა
- ბუნებრივი რესურსების მართვის სისტემის ექსპლოატაციაში გაშვება.
- უსაფრთხოების პოლიტიკის, პროცედურების და სტანდარტების შემუშავება.

- თანამშრომლების ტრენინგი ძირითადი სისტემების მართვასა და ოპტიმიზაციაში

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

**1.5 ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის დანერგვა სხვადასხვა მხარჯავ დაწესებულებებში**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ახალი სისტემის დანერგვა სხვადასხვა მხარჯავ დაწესებულებებში

**პერიოდი:** იანვარი - დეკემბერი

**პროგრესი:** ფინანსთა სამინისტროს უწყებების გარდა, სისტემა დანერგილია 10-მდე მსხვილ სახელმწიფო ორგანიზაციაში. მიმდინარეობს სისტემის ვერსიის განახლება; განახლებული ვერსია დაინერგება სისტემის ყველა მომხმარებელ ორგანიზაციაში. დასრულდა მოლაპარაკებები აჭარის ა.რ. სამთავრობო ორგანიზაციებთან, სადაც სისტემა დაინერგება 2013 წლის 1-ელ კვარტალში

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

**1.6 ადამიანური რესურსების მართვის სისტემის დანერგვა**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** კადრების სამსახურის მუშაობა ადამიანური რესურსების მართვის სისტემაში.

**პერიოდი:** იანვარი - დეკემბერი

**პროგრესი:** ადამიანური რესურსების ეფექტურად მართვის მიზნით შემუშავდა ავტომატიზებული სისტემა, რომლის მიზანია პერსონალის მართვის პროცესის გამარტივება, დაჩქარება და ხარისხის გაუმჯობესება პერსონალის მართვასთან დაკავშირებული აქტივობების და ამოცანების ავტომატიზაციის გზით.

დასრულდა მუშაობა სისტემის ძირითად ფუნქციონალზე. ასევე, სისტემას დაემატა ხელფასების და მივლინების მოდულები, რომელსაც მეშვეობითაც ხდება სახელფასო უწყისის გენერირება და მივლინებების ბრძანებების აღრიცხვა. ამჟამად მიმდინარეობს ამ მოდულების ტესტირება და ინტეგრაცია ხაზინის ელექტრონულ სისტემასთან, რის მეშვეობითაც განხორციელდება ხელფასების გადარიცხვა და მივლინების დარეგისტრირება.

სისტემას დაემატა ძიების და რეპორტირების ფუნქციონალი, რომლის საშუალებითაც კადრების თანამშრომლებს შეეძლებათ განახორციელონ ძიება სისტემაში ნებისმიერი პარამეტრით და სასურველი ფორმატით ამოიღონ შესაბამისი რეპორტი. ასევე, ფუნქციონირებს სტატისტიკური სახის რეპორტების მოდული, რომლის მეშვეობითაც მომხმარებელს შეუძლია მზა ფორმის რეპორტების გენერირება. სტატისტიკურ რეპორტებში რეალიზებულია ყოველდღიური დასწრების რეპორტის ფუნქცია, რომელიც ტურნიკეტის ბაზის ინფორმაციებზე დაყრდნობით აწარმოებს თითოეულ თანამშრომელზე დასწრების აღრიცხვას საათების მიხედვით და გააჩნია საშვების კონტროლი.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს სისტემის ინტეგრაცია მომხმარებლებისა და უფლებების ერთიან ელექტრონულ სისტემასთან, რის მეშვეობითაც განხორციელდება ახალი მომხმარებლის დარეგისტრირება და უფლებების განსაზღვრა

**შენიშვნა:** მიმდინარეობს